

სებასტიან პლუო

„ანტიკრიზისის მდგომარეობს სწორედ იმ ფაქტში, რომ ძველი კვდება, ახალი კი ვერ იბადება. ამ განუკითხაობაში ავადმყოფური სიმპტომების დიდი სახესხვაობა იჩენს თავს.“

ანტონიო გრამსკიო

თემო ჯავახიშვილის ხელოვნების შესახებ

ორი წითელი შხეფის კვალი ატყვია კედელს, რომლის მიმართულებითაც თემო ჯავახიშვილი უმედეგოდ ცდილობს კიდევ ერთი „ფეთქებადი“ ბურთის სროლას. გაბედული რევოლუციური აქტია ჩადებული მომენტში, როცა ვხედავთ მარტივი ვიდეო არტეფაქტის ორ კადრში, როგორ ბრუნდება ბურთი მსროლელის ხელში და მესამე ლაქა უსასრულოდ უჩინარდება. თუ შევადარებთ ამ მოქმედებას ვალტერ ბენიამინის მიერ აღწერილი რევოლუციონერების საქციელს, რომლებიც ქუჩის საათებს ესროდნენ ტყვიებს იმ მიზნით, რათა შეეჩერებინათ მოძველებული პოლიტიკური წესრიგი. თემო ჯავახიშვილის ვიდეო არტი გვიჩვენებს დისფუნქციურ დროის მონაკვეთს, რომელიც კი არ ჩერდება, არამედ განუწყვეტილად მიდის უკან. ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული ეს სიმბოლური ჟესტი გადაიქცევა სიზიფის შრომად, სადაც პოლიტიკური ტრანსფორმაციის სიმბოლური აქტი ჩნდება იმ განუკითხაობაში, რომელზედაც გრემსკი მიუთითებდა. ავადმყოფური სიმპტომი ჩაბუდებულია ისტორიულ - ისტერიული განმეორებების შეყოვნების ეფექტში, სადაც ძალადობა ყოველთვის ხორციელდება სხვა, ძველი ან ახალი, წესრიგის მიერ. ეს კომპარული და შემზარავი გამოცდილება უმწეობის (უძალობის) ერთ-ერთი გამოხატულებაა. განმეორება, სადაც ფეთქებადი ბურთი უკან უბრუნდება თავის მსროლელს, პარადოქსულ კავშირშია განძარცვასთან (საკუთრების დაკარგვასთან). მფლობელი განუწყვეტილად აცალკევებს საკუთარ თავს ობიექტისგან, ამიტომ ჩამოერთმევა მას უნარი, დაკმაყოფილებული იყოს თავისივე აქტის დანატოვარი შედეგით. ეს აქტი მის ჩამდენსა და ავტორს უკვე აღარ ეკუთვნის, ავტორი აღარ თამაშობს, ის თვითონაა გათამაშებული რეციპიენტის მიერ.

ეს შეკავებული დროის მონაკვეთები უკავშირდება თემო ჯავახიშვილის ნამუშევრების ცენტრალურ იდეას: პროცესისა და ტრანსფორმაციის დიალექტიკურ მცნებას. სურათების სერიაში “ჩ” დამთავალიერებლის მხერის წინაშე დგას არტიტი კირილიცას პოზით თავის „მე“-სთან ერთად. (ჩ - ესაა ასო, რომელიც ცოცხალ სხეულს სტატიკურ ფიგურად აქცევს). კირილიცაზე ჩ პირველი პირის ნაცვალსახელს აღნიშნავს, „მე“-ს. გრაფიკულად ეს ასო სხეულს ჰგავს: მომუჭული მარცხენა ხელი, მეორე ხელი თეძოზე და მარჯვენა მკლავით შემოხაზული მრუდი, მხრების სივანებზე მყარად გადატანილი ფეხები და დაღუნული თავი. ავტობორტრეტი ტექსტია, დაწერილი კირილიცას იდიომატიური ძალით, რომელიც მემოლდწერილი სხეულის კონფიგურაციას ქმნის. - რამდენიმე წლის წინ ამერიკელმა არტიტმა, რობერტ მორისმა, პატარა ხის ყუთი გააკეთა პაწაწინა კარით, რომელიც წარმოადგენდა ლათინურ ასოს “I”. კარს ვინც გააღებდა, დაინახავდა მხატვრის შიშველ ავტობორტრეტს, რომელიც კარის გამღებს დაუინებით უშვებდა.

ნარცისტული მოტივი, რომელსაც საკუთარი თავის ემანსიპაციისათვის ყუთის კარზე გამოსახული ასო სჭირდება, გადაიქცევა ძალადობრივ იდიომად. ხანდახან ნამუშევარი გამოხატავს იმას, თუ როგორ შეუძლია ძალას შეამციროს მოძრაობა, ხანდახან კი პირიქით, ნამუშევარი აძლავნებს ტრანსფორმაციის წარმოქმნის (გამომუშავების) უნარს.

TRANS' - პერფორმანსია, რომელიც პირველად განხორციელდა თბილისში 1997 წელს. ის განჩნდა, როგორც რეაქცია გამოფენისა სათაურით „ტრანსკავკასია“, რომელიც - 1998 წლის, თებერვალში

¹ ნამუშევარი “TRANS” - მოვიანებით წარმოდგენილი იქნა: საფრანგეთში, პარიზში, 2011 წელს გამოფენაზე სახელწოდებით „თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე“ (CNEAI), პარიზი, კურატორი სებასტიან პლუო*; „წერილი ყოველთვის აღწევს დანაშაულის ადგილს“; ESBA TALM Angers and პარტნიორების საგამოფენო სივრცეებში ინტერნეტში, მურიე გაუ გალერეა, ნიუ იორკი; Galerie Leonard & Bina Ellen-ში, კონკორდიას უნივერსიტეტი, მონრეალი, კვებეკი; პარიზის საავტენტო GB-ის გალერეაში.

უნდა განხორციელებულიყო პარიზში და რომლის მიზანიც იყო საფრანგეთში ქართველი არტისტების წარდგენა. თემო ჯავახიშვილი თავიდან მიწვეული იყო იქ, მსგავსი კონტექსტის მქონე საკუთარი ნამუშევრების საჩვენებლად, მაგრამ (მაშინდელი ცალკეული კულტურის მოღვაწეთა „ზრუნვის“ შედეგად) შემდგომში ეს შეთავაზება გაუქმდა. ამ არა კეთილგანწყობილი უცხტის ირონიულ პასუხად არტისტმა გადაწყვიტა, განეხორციელებინა პერფორმანსი TRANS თბილისში, სწორედ იმ საღამოს, როცა „ტრანსკავკასიის“ გამოფენა გაიხსნებოდა საფრანგეთში, თუმცა შეცვალა თავისი აზრი და ექვსი ღვთა ადრე - 1997 წელს მოხდა ამ პერფორმანსის წარმოდგენა „ძველ გალერეაში“, თბილისში. - თ. ჯავახიშვილმა გამოფენის დასახელების პირველი ნაწილის TRANS-ის მატერიალიზება მოახდინა და სიტყვა TRANS მაგიდაზე დაწერა ღვინის ჭიქებით. ამგვარად, ნამუშევარი ყველას თვალწინ იქმნებოდა სიტუაციის მიხედვით. სანამ ხალხი ჭიქებს იღებდა, სვამდა და იშვიათად აბრუნებდა თავის ადგილზე, სიტყვა ახლებურად ეწყობოდა და იცვლებოდა, როგორც (ხშირად) იცვლება ხალხის აზრი. პერფორმანსის მიმდინარეობის დროს ნამუშევარი ტრანსფორმირდა ისევე, როგორც მისი მიმღებები ანუ დამთვალეირებლები, რომლებიც ადგილს უცვლიდნენ სკულპტურულ ობიექტს პროცესის უტილიტარული ღირებულების მიხედვით. ნამუშევარმა ბუკვალურად და კონცეპტუალურად იმ სიტყვის დეკონსტრუქცია მოახდინა, რომლის აღმნიშვნელიც თავიდანვე ჩამოაცილეს მას. „ტრანს-კავკასიის“ ნაცვლად, შეიძლება „ტრანს“ გამოხატავდეს: „ტრანს-მისიას“ (გადანაცვლებას) ერთი ადამიანისა მეორესაკენ, „ტრანს - ლაციას“ - ერთი მნიშვნელობიდან მეორეში გადასვლას და „ტრანს-პოზიციას“ - გადაადგილებას. მისი მრავალგზის გამეორება იწვევს ერთი კონტექსტიდან და ერთი პერიოდიდან მეორეში ტრანს-ფორმაციის დაუსრულებელ (უწყვეტ) შესაძლებლობებს. თემო ჯავახიშვილის ნაწარმოებები, დანახული (განხილული) ტრანსლაციის თეორიების ტრილში, ამჟღავნებს იმის იდენტიფიცირების უნარს, თუ ენა - გამოყენების პროცესში (სხეულთან და სხვა ობიექტებთან მიმართების დროს) როგორ ავლენს (ამჟღავნებს) ხოლმე გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ მოვლენებს.

ხელოვნების ისტორიის მაგისტრი. სპეციალისტი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში EHESS-გან და დამოუკიდებელი კურატორი. მისი კურატორობით განხორციელდა მრავალი შესანიშნავი პროექტი: პარიზში, ნიცაში, მონპელიეში, სან ფრანცისკოში, ჩიკაგოში, ნიუ იორკში, მონრეალში და სხვა. კითხულობდა ლექციებს Universite Paris IP antheon Sorbonne, HEAD of Geneva. ასწავლის ხელოვნების ისტორიასა და თეორიას უმაღლეს სკოლაში (l'Ecole Superieure des Beaux - Art da Angers).

სებასტიან პლუო